# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
# სხდომის ოქმი
# №57

ქ. თბილისი; 18 თებერვალი, 2020 წ. 11 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან მამულაშვილი
ნინო რუხაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ვალერი ჭიღლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი - გიორგი აბუთიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - დავით ჯაიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ვასილ აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს უფროსი - სალომე ვერულაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - გიორგი ებანოიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ჯუმბერ ყანდარელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის იურისტი - სოფო უგრეხელიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის კულტურის ობიექტების მართვისა და დაგეგმარების განყოფილების ხელმძღვანელი - ცირა შალოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი - მარიამ კვერნაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

# დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4 “სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლისათვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლისათვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. „შპს „ბოჟიტორისთვის“ (ს/ნ 405000369) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „მუქრი კაკაურიძისათვის (პ/ნ 01019009108) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ელექტრონული განცხადების განხილვის

წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10 „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

15. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M₃ კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

16. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა

ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 მე-14 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 135-ე - $135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

19. "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 1252 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

20. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

21. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

22. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს“ (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ №-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. ”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 6 ივნისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-313-22-19802 ხელშეკრულებით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როინი მკალავიშვილის (პ/ნ 01001028428) გათავისუფლების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. “ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. “ქალაქ თბილისში, მახათას შესახვევი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.030.007.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.044.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. „ქალაქ თბილისში, ანტონ ფურცელაძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.04.019.004.01.591) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

29. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, II მიკრო/რაიონის კორპუსი N9 (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.005.01.514) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

30. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხი.

31. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - თემურ გორგაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საკითხი.

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა - ვალერი ჭიღლაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი და წარმოადგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი - გიორგი აბუთიძე.

ბატონმა ვალერიმ, გიორგი აბუთიძის ბიოგრაფიაზე საუბრისას აღნიშნა, რომ ბატონი გიორგი პროფესიით არის ინჟინერი და მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო ელექტროსისტემაში მენეჯერის პოზიციაზე, ხოლო 2019 წლიდან იკავებდა სატრანსპორტო კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობას.

ვალერი ჭიღლაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გიორგი აბუთიძე არის კარგი მენეჯერი და განხორციელებული აქვს უამრავი მნიშვნელოვანი პროექტი. მისივე თქმით, ბატონი აბუთიძის საქმიანობა აღნიშნულ პოზიციაზე იყო მეტად წარმატებული, რამაც განაპირობა მისი კანდიდატურის დაყენება მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრმა, გიორგი ჩაკვეტაძემ მხარდაჭერა გამოუცხადა გიორგი აბუთიძის კანდიდატურას და დედაქალაქში არსებული რეკორდული რაოდენობის ინფრასტრუქტურული პროექტების ფონზე წარმატება უსურვა მას მომავალ საქმიანობაში.

თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დედაქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დათქმულ დროსა და ვადებში დასრულება, ამასთან, აღნიშნული პროექტების ხარისხიანად შესრულება ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის, შესაბამისად, ბატონსა ლევანსა წარმატება უსურვა გიორგი აბუთიძეს სამომავლო საქმიანობაში.

დასასრულს, ლევან ჟორჟოლიანმა, მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი განკარგულების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - დავით ჯაიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარეობს და გრძელდება მუნიციპალური ტრანსპორტის განახლების პროცესი. მისივე თქმით, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით კომფორტული და შეუფერხებელი მომსახურების მიზნით აუცილებელია (ე.წ. ყვითელი) ავტობუსების სრულად ჩანაცვლება და დამატებით 200 ერთეული 12-მეტრიანი და 178 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსების შესყიდვა, ასევე აუცილებელია განხორციელდეს ავტობაზების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

ბატონმა დავითმა ასევე განმარტა, რომ სწორედ ამ მიზნების მისაღწევად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, თბილისის მუნიციპალიტეტს 80 (ოთხმოცი) მლნ ევროს ოდენობის სესხი გამოუყო, რომლიდანაც 65 მლნ ევროს ტრანში გათვალისწინებულია ახალი ავტობუსების შესაძენად, ხოლო 15 მლნ ევროს ოდენობის ტრანშით უნდა განხორციელდეს არსებული ავტობაზების რეაბილიტაცია და ერთი ახალი ავტობაზის მშენებლობა.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ძთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დათქმულ დროსა და ვადებში დასრულების მნიშვნელობაზე ისაუბრა. თავმჯდომარემ განმარტა, რომ დედაქალაქის მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნა, სწორედ (ე.წ. ყვითელი) ავტობუსების ჩანაცვლებაა, რაც ასევე მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია გარემოს დაცვის კუთხით. თავმჯდომარემ წარმატება უსურვა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებს და მხარდაჭერა გამოუცხადა იმ პროცესში, რომლებსაც ისინი ახორციელებენ მუნიციპალური ტრანსპორტის განახლების პროცესში.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ამავე კოდექსის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ლევან მიქავამ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტი 217 მილიონ 580 ათასი ლარით იზრდება და მისი მთლიანი მოცულობა 1 მილიარდ 238 მილიონ 980,6 ათას ლარით განისაზღვრება.

როგორც ბატონმა ლევანმა აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტით, დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტს ემატება შემდეგი ახალი ქვეპროგრამები:

- ✓ სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია – 12 605,5 ათასი ლარი.
- ✓ გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება – 2 676,5 ათასი ლარი, ქვეპროგრამის მიზანია, გაფანტული სკლეროზის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება.

ლევან მიქავას თქმით, გამოყოფილ იქნა ასიგნებები მუნიციპალიტეტის ორი ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის -შექმნისა და საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით:

- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო – 2 337,2 ათასი ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 81 ერთეული.
- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახური 1 682,1 ათასი ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 56 ერთეული.

საკითხის წარმომდგენმა ისაუბრა ძირითად პარამეტრებზე და 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ იმსჯელა. მისივე თქმით იზრდება, ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამებისა და ქვეპროგრამების ასიგნებები, როგორიცაა:

- ✓ გზების მშენებლობა და აღდგენა
- ✓ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები
- ✓ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია
- ✓ საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია
- ✓ კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები
- ✓ ქალაქის განვითარების ხელშეწყობა
- ✓ გამწვანების ღონისძიებები
- ✓ დასუფთავების ღონისძიებები
- ✓ თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა
- ✓ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია

ლევან მიქავამ აღნიშნა, რომ ქვეპროგრამა -„საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო

და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება"– იზრდება 24 644,5 ათასი ლარით.

დასასრულს, ბატონმა მიქავამ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 021 400,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 217 580,0 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 980 969,9 ათასი ლარის ოდენობით, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 238 980,6 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 200 187,1 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ცვლილებები, ამასთან, გათვალისწინებულია, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურული მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების მოცულობის მატება, როგორიცაა: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება და სხვა.

კომისიის წევრმა - ხიხო რუხაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება გათვალისწინებული გახლდათ დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს.

ბატონი ლევანის აზრით მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ამასთან, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მითითების ნაწილში, ნაცვლად მე-20 მუხლის ზოგადი სახით მითითებისა, განისაზღვროს ხსენებული ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი დადგენილების პროექტის პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში უნდა მოხდეს დადგენილებით დატკიცებული დანართის მე-14 მუხლის ჩამატებაც, ამასთან, ნაცვლად მითითებულისა -„2020 წლის 1 იანვრიდან წარმოქმნილ ვალდებულებებზე", მიეთითოს - 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე", ხოლო, აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

კომისიის თავმჯდომარის აზრით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტში ქვეპროგრამის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია" მითითების ნაწილში, „რეაბილიტაცია" შეიცვალოს სიტყვით - „აბილიტაცია", საბიუჯეტო დადგენილების მოქმედი რედაქციის გათვალისწინებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს უფროსმა- სალომე ვერულაშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ამავე კომისიის მიერ ინიცირებული, "სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლისათვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სსიპ ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლის მომართვის საფუძველზე, 2020 წლის 6 თებერვალს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, განათლებისა და კულტურის კომისიამ საჯარო სხდომის ფორმატში განიხილა N94 საჯარო სკოლისათვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ საკითხი.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომას ესწრებოდნენ №94 საჯარო სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლები და ჯამბულ წურწუმიას ოჯახის წევრები, რომლებმაც განმარტეს, რომ მათი ერთობლივი სურვილია აღნიშნულ საჯარო სკოლას მიენიჭოს აფხაზეთის ომის გმირის, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის მფლობელის - მაიორ ჯამბულ წურწუმიას სახელი.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილი ინიციატივის შესახებ და ერთხმად დაუჭირა მხარი N94 საჯარო სკოლისათვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ საკითხს.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარე მიესალმა აღნიშნულ ინიციატივას და განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, ნაცვლად საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა უნდა მიეთითოს ამავე კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი. ამასთან, საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნას ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი. ასევე, განკარგულების პროექტის პრეამბულას, სიტყვა „თბილისის" შემდეგ დაემატოს სიტყვა „მუნიციპალიტეტის".

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს უფროსმა- სალომე ვერულაშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ამავე

კომისიის მიერ ინიცირებული, „სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლისათვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მსგავსად №94 საჯარო სკოლისა, სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლის მომართვის საფუძველზე, 2020 წლის 6 თებერვალს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განათლებისა და კულტურის კომისიამ, საჯარო სხდომის ფორმატში განიხილა N62 სკოლისთვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი და სკოლის დირექტორის, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებისა და ჟიული შარტავას ოჯახის წევრების მიერ დაყენებული ინიციატივის საფუძველზე ერთხმად დაუჭირა მხარი N62 საჯარო სკოლისათვის საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ საკითხს.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, ნაცვლად საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა უნდა მიეთითოს ამავე კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი. ამასთან, საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნას ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი. ასევე, განკარგულების პროექტის პრეამბულას, სიტყვა „თბილისის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „მუნიციპალიტეტის“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიორგი ებანოიძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „შპს „ბოჟიტორისთვის“ (ს/ნ 405000369) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. N37ა-ში მდებარე დაუსრულებელ მშენებლობასთან დაკავშირებით, იდენტიფიცირებულია 427 დაზარალებული ფიზიკური პირი. მისივე თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას 2019 წლის 8 ივლისს განცხადებით მიმართა შპს „ბოჟიტორმა“ და მშენებლობის დასრულებისთვის ითხოვა აღნიშნულ მისამართზე არსებული სამშენებლო ობიექტისთვის კ-2-ის გადამეტება 12.8-მდე. ამასთან, მშენებლობის დასრულებისთვის ითხოვა, ირბახის ქუჩაზე

არსებული 5(ხუთი) მიწის ნაკვეთის გადაცემა შემდგომი განვითარების უფლებით (სზ -6, კ-2 – 2.5).

როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბოჟიტორს" შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, შპს „ბოჟიტორი" ვალდებულია მემორანდუმის გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, წარმოადგინოს **უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 300 000 ლარის ოდენობით.** ამასთან, სააგენტო იღებს ვალდებულებას, შპს „ბოჟიტორის" მიერ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, უზრუნველყოს შპს „ბოჟიტორისთვის" ქ. თბილისში, წურწუმიას და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ერთმანეთის მომიჯნავედ არსებული 5 ერთეული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, საკუთრების უფლებით გადაცემა შემდეგი პირობებით:

- ქონების განკარგვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე, ქონების შემძენი საპრივატიზებო პირობის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, წარმოადგენს უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას, რომლის ოდენობა განისაზღვრება იდენტიფიცირებულ დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით აუდიტორული დასკვნის შესაბამისად წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის არანაკლებ 10 პროცენტით, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 4 თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

- თუ ქონების შემძენი საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე უარს იტყვის ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, სააგენტო უფლებამოსილია გამოითხოვოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად.

გიორგი ებანოიძემ განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შესათანხმებლად წარმოადგინა პროექტი შპს „ბოჟიტორისთვის" შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისთვის თანხმობის მისაღებად:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. N37ა (ს/კ N01.10.13.023.001) შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებით - არაუმეტეს კ-2 - 12,8-ისა, სიმაღლის განსაზღვრის სქემის დაუცველად. ასევე აღნიშნული პარამეტრების ფარგლებში განხორციელდეს წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტზე ერთი მალის დამატება ან/და საკადასტრო საზღვრების გადაკვეთა, თუ პროექტის შეთანხმების ეტაპზე საკადასტრო საზღვრების კორექტირება მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესაბამის ეტაპზე წარადგინოს განახლებული სატრანსპორტო სქემა, რომელიც შეთანხმებული იქნება შესაბამის სამსახურებთან;

ბ) ქ. თბილისი, წურწუმიას და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ერთმანეთის მომიჯნავედ არსებული 5 ერთეული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.17.01.050.028 (თანასაკუთრება), N01.17.01.050.025 (თანასაკუთრება), N01.17.01.050.039, N01.17.01.050.040, N01.17.01.050.041) შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება,

განაშენიანების რეგულირების გეგმა, არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა, მრავალფუნქციური შენობის ესკიზის შეთანხმების შესახებ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის - არაუმეტეს (კ 2) 2.5-ის ფარგლებში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიორგი ებანოიძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „შუქრი კაკაურიძისათვის (ბ/ნ 01019009108) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შუქრი კაკაურიძისთვის, მისამართზე ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40 (ყოფილი ქუჩა აკური , N33 , ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46. (ნაკვეთი N35/31) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.035.053) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (ს/კ N01.14.01.007.350) მდებარე მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებისთვის შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემას.

საკითხის წარმომდგენის თქმით, დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას 2019 წლის 11 ივლისს განცხადებით მიმართა შუქრი კაკაურიძემ და ითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ.N40 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის თაობაზე, რაც განმცხადებელმა 2020 წლის 4 თებერვლის სხდომაზე წარადგინა.

როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, ზემოაღნიშნულ მისამართზე, მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2009 წლის 4 სექტემბრს. არსებული ნებართვის ფარგლებში, სამშენებლო ობიექტზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი - კ-2 = 11.5. საერთო ჯამში ფართის სახით გასაცემი ვალდებულება შეადგენს 12 530 კვადრატულ მეტრს, ხოლო ზარალის სახით გასაცემი ფულადი დავალიანება ჯამურად შეადგენს 1 430 000 აშშ დოლარს.

მომხსენებლის თქმით, შუქრი კაკაურიძემ ითხოვა დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება:

- მისამართზე ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40 (ყოფილი ქუჩა აკური , N 33 , ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46. (ნაკვეთი N35/31) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.035.053) არსებული საცხოვრებელი ფართის 11 933,8 კვადრატული მეტრით და მიწის ნაკვეთის 1 262 კვადრატული მეტრით შემცირების სანაცვლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის მდებარე ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.14.01.007.350) გადაცემა (7750 კვ.მ) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის განსაზღვრას 5.5-ით;

- მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.14.01.007.350) არსებულ მიწის ნაკვეთს შეეცვალოს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ 2) საცხოვრებელი ზონა - 6-ით (სზ-6).

გიორგი ებანოიძის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ი.მ.ა „აკურის N27,29,33 ალმასიანის N34,40,42,46" შორის 2020 წლის 10 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება რომლის მიხედვითაც სააგენტო საპრივატიზებო პირობით საკუთრებაში გადასცემს ი.მ.ა „აკურის N27,29,33 ალმასიანის N34,40,42,46" ს ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.14.01.007.350) არსებულ მიწის ნაკვეთს შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:

- ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პაელე ასლანიდის ქ. N40 ში მდებარე 1265 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
- ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40-ში მდებარე 1265 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და აღნიშნული ტერიტორიის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში.

დასასრულს, მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შესათანხმებლად წარმოადგინა პროექტი შუქრი კაკაურიძისთვის შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისთვის თანხმობის მისაღებად:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (ს/კ N01.14.01.007.350) არსებულ მიწის ნაკვეთს შეეცვალოს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ით;

ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (ს/კ N01.14.01.007.350) შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, განაშენიანების რეგულირების გეგმა, არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა, მიწის ნაკვეთის გასაუსიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით - კ-2 - 5.5.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ჯუმბერ ყანდარელმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით 2020 წლის პირველი მარტიდან ფუძნდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახური. მისივე თქმით, აღნიშნული იურიდიული პირის დაფუძნებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ცვლილებები შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის ცალკეულ მუხლებსა და პუნქტებში.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ამასთან, თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორება წარმოდგენილი პროექტის „ბ", „გ" და „ვ" ქვეპუნქტებში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ჯუმბერ ყანდარელმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ელექტრონული განცხადების განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, მტკიცდება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ელექტრონული განცხადების განხილვის წესი, რომელშიც ახლებურად დარეგულირდება და გაიწერება მთელი რიგი საკითხები.

საკითხის წარმომდგენმა იქვე აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით, შესაბამისად, უნდა შეიცვალოს დასამტკიცებელი წესის დასახელება წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველ მუხლსა და დანართში.

თავმჯდომარის თქმით, სასურველია შეიცვალოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტით დასამტკიცებელი წესის, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის იმპერატიული ფორმულირება განმცხადებლის წარმდგენის მიმართ, კერძოდ კი სხვა პორტალზე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებების და შესაბამისი დოკუმენტაციის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში განმცხადებლის მიერ, www.urban.tbilisi.gov.ge პორტალზე წარდგენის თაობაზე.

ბატონი ლევანის განმარტებით, სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტით დასამტკიცებელ წესში, ერთმანეთისაგან ცალსახად გაიმიჯნოს სხვადასხვა ელექტრონული პორტალები, ელექტრონული მართვის სისტემები და ნათლად და კონკრეტულად გაიწეროს უშუალოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს დაქვემდებარებულ ელექტრონულ პორტალზე საქმისწარმოების წესი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ჯუმბერ ყანდარელმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ცვლილებები შედის,

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტურ ნაწილში, კერძოდ, (დანართი N2) 72-ე და 73-ე მუხლებში.

საკითხის წარმომდგენის თქმით, პროექტის მიხედვით, დადგენილებით დამტკიცებული დანართის შესაბამის მუხლებში, „ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული“-ს ნაცვლად, მიეთითება, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო“,

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, 2020 წლის პირველი მარტიდან, ფუძნდება სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, რომელიც წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს.

საკითხის წარმომდგენის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ცვლილება შედის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №52-1 დადგენილებით დამტკიცებულ, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დებულებაში და დებულების მე-8 მუხლის მე-8 პუნქტში, „ო“ ქვეპუნქტს ემატება ო$^1$ და ო$^2$ ქვეპუნქტები, რითაც, სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილებებს ემატება ადმინისტრაციული და მონიტორინგის სამსახურების შემდეგი უფლებამოსილებები:
„ო$^1$) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის ფასის გადახდის მდგომარეობის აღრიცხვა და მისი გადახდის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

ო[2]) საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M₁ კატეგორია) გადაყვანაზე დადგენილი წესის შესაბამისად ნებართვის გაცემა და გაუქმება ელექტრონული მისამართის: www.taxi.tbilisi.gov.ge მეშვეობით;“

ვასილ აბულაძის განმარტებით, ცვლილებების შესაბამისად, სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთ უფლებამოსილებად აგრეთვე განისაზღვრება ადმინისტრაციული უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქცია - „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა“

დასასრულს საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა - ვალერი ჭიღლაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ეფექტიანად მართვის, მოქნილი და საჭიროებებზე ორიენტირებული მოწყობის მიზნით, რეორგანიზაციის ფარგლებში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები, რომლის შედეგად, 2020 წლის 1 მარტიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარებისა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურები გაუქმდება და აღნიშნული სამსახურები დაფუძნდება საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით - ტრანსპორტის განვითარების სააგენტოდ და ურბანული განვითარების სამსახურად.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განაცხადა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხორციელდება ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N10-19 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართებიდან ხდება „მ“ და „ო“ ქვეპუნქტების ამოღება. მისივე თქმით, მერიის ურბანული

განვითარების საქალაქო სამსახურისა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხების ამოღება განხორციელდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ შეახსენა კოლეგებს, რომ საკრებულომ უკვე დაუჭირა მხარი, ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსა და ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებას, რაც ბატონი ლევანის თქმით იყო სწორი გადაწყვეტილება. მისივე თქმით, სსიპ ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნების შემდგომ, მოხდება სერვისების დახვეწა და განვითარება. იურიდიულ პირს მიენიჭება მეტი უფლებამოსილება ახალი სერვისების დანერგვისა და ფინანსური რესურსის მოზიდვის კუთხით, რაც დადებითად აისახება დედაქალაქის ურბანული განვითარების პოლიტიკაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით სსიპ - ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, მტკიცდება ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესი. აღნიშნული წესი უზრუნველყოფს, მომსახურების ხარისხისა და მართვის ეფექტიანობის გაზრდასა და ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვასა და განვითარებას.

საკითხის წარმომდგენმა იქვე აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლი ტექნიკური კუთხით გასწორდეს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. გარდა ამისა, დასამტკიცებელი წესის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტიდან, ამოღებულ უნდა იქნეს მითითება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ცვლილებები შედის მოქმედ ნორმატიულ აქტებში, მათ შორის „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ამასთან, მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი პროექტის „გ.ა" და „გ.ბ" ქვეპუნქტებში.

ბატონი ლევანის განმარტებით, სასურველია პროექტის პირველი მუხლის „გ" პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტში მითითებული „სოციალური მომსახურების სააგენტო" ძველი სახელწოდება შეიცვალოს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის N13 დადგენილების შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის,

ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ცვლილებები შედის მოქმედ ნორმატიულ აქტებში, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ბატონი ლევანის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველ მუხლში, უნდა მიეთითოს საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილების გამოქვეყნების თარიღი, ნაცვლად მისი მიღების თარიღისა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის **№6-25** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ცვლილებები შედის მოქმედ ნორმატიულ აქტებში, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების მე-20 და 21-ე მუხლში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ნაცვლად

ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს მითითება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე უნდა მიუთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ბატონი ლევანის განმარტებით, მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის ცალ-ცალკე მუხლებში გაიწეროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილების მე-20 და 21-ე მუხლში შესატანი ცვლილებები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 მე-14 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე - $135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, $135^5$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეული ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, რომელიც ფუძნდება 2020 წლის პირველი მარტიდან, განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 მე-14 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე 4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე - $135^5$ მუხლებით გათვალისწინებული

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად.

ბატონმა ვასილმა იქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი დადგენილების ამოქმედებამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში შესული და განხილვის სტადიაში მყოფი საჩივრის განხილვის და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება უზრუნველყოფა ევალება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს.

დასასრულს, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად გამოცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით, დედაქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის შესაბამისად, ხორციელდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ წესის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება და სრულყოფილი სახით წარმოდგენა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დადგენილების პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდება 2020 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის #36-3 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, დადგენილების პროექტის პრეამბულაში, პირველსა და მეორე მუხლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლები მოხსენიებულ უნდა იქნას ერთგვაროვნად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და $125^2$ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლს დაემატა მე-12; მე-13; მე-14 ნაწილები. ამასთან, აღნიშნულ კოდექსს დაემატა $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დედაქალაქის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ გზებზე დადგენილი ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილებზე სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების გაჩერება ან დგომა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 135ე- $135^4$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეული ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

ამასთან, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2020 წლის პირველი მარტიდან ფუძნდება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, რომელიც წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის" საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების უფლებამოსილების მინიჭებას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცებას.

დასასრულს, ბატონმა ვასილმა აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით ($M_1$ კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებასთან დაკავშირებით, მთელ რიგ სამართლებრივი აქტებში შესული ცვლილებების შესაბამისად, სსიპ - მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილებად, სხვა ღონისძიებებთან ერთად, განისაზღვრება, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით ($M_1$ კატეგორია) გადაყვანაზე დადგენილი წესის შესაბამისად ნებართვის გაცემა და გაუქმება შესაბამისი ელექტრონული მისამართის მეშვეობით.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებით დამტკიცებული წესში, რომლის შესაბამისად, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ტაქსით გადაყვანაზე ნებართვის გამცემად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გარდა, განისაზღვრება არა „მის მიერ უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული", არამედ, „უფლებამოსილი პირი". ამასთან,

ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებას აკონტროლებს ნებართვის გამცემი ან მის მიერ განსაზღვრული პირი საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.

დასასრულს, ბატონმა ვასილმა აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

აზრი გამოთქვა:

თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის „ლ" ქვეპუნქტის მიხედვით, „პირი" განმარტებულია, როგორც - „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური პირი", ხოლო, წარმოდგენილი ცვლილებით, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით ($M_1$ კატეგორია) გადაყვანაზე ნებართვის გამცემად განსაზღვრულია - „ქალაქ თბილისის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი პირი".

შესაბამისად, თავმჯდომარის მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ, ნებართვის გამცემ პირად მოიაზრება, უფლებამოსილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან მის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეული (წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად - სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური), მიზანშეწონილია, ამ მხრივ განხორციელდეს საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებით დამტკიცებული წესის ტერმინთა განმარტების ნაწილის გადასინჯვა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ცვლილებები შედის მოქმედ ნორმატიულ აქტებში, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებით დამტკიცებული დანართის შენიშვნაში.

დასასრულს, ბატონმა ვასილმა აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის ახალი რედაქციით წარმოდგენილ პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სრული რეკვიზიტები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ცვლილებები შედის მოქმედ ნორმატიულ აქტებში, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებით დამტკიცებულ შენიშვნაში. კერძოდ, კორექტივები შედის M2 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტების მინიმალურ რაოდენობაში, რაც თანხვედრაშია ფრანგულ კომპანია „SYSTRA“-ს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამარშრუტო სქემების დაგეგმარების მიმართულებასთან.

დასასრულს, ბატონმა ვასილმა აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების რეკვიზიტები, შესაბამისად, დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა - მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს“ (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ Nე-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონი მარიამის განმარტებით, 2018 წელს, კომპანია შპს „სითი ბოქსმა“ აუქციონში გამარჯვების შემდეგ ხელშეკრულებით იკისრა ქალაქის 6 ლოკაციაზე თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი საზოგადოებრივი რეტერატების განთავსება. მისივე თქმით, იმისათვის, რომ კოტე აფხაზის ქუჩაზე საზოგადოებრივი რეტერატით სარგებლობა შეძლონ შშმ პირებმა, აუცილებელია რეტერატის ადგილმონაცვლეობა საკადასტრო კოდის ცვლილების გარეშე.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება ხორციელდება მხარეთა შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში და საკადასტრო კოდის ცვლილების გარეშე, ლესელიძის N13-ის მიმდებარე ლოკაციაზე იცვლება რეტერატის განთავსების სიტუაციური ნახაზი, რომელიც დანართის სახით ერთვის მთავრობის №20.113.131 განკარგულებას.

დასასრულს საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული 100 (ასი) ლარის ოდენობის პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ განთავისუფლება.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, მიზანშეწონილია პროექტში ქ. თბილისში, ლესელიძის ქუჩის ნაცვლად მიეთითოს - „კოტე აფხაზის ქუჩა“.

თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის მე-3 მუხლი უნდა გასწორდეს ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა - მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 6 ივნისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-313-22-19802 ხელშეკრულებით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როინი მკალავიშვილის (პ/ნ 01001028428) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირ როინ მკალავიშვილს შორის, 2016 წლის 6 ივნისს გაფორმდა პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გამარჯვებულ პირს დაეკისრა ვალდებულება, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის ვადაში მოეხდინა, შენობა ნაგებობის კანონმდებლობით დადგენილი წესით მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება. შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებიდან არაუმეტეს 1 წლის ვადაში კი განეხორციელებინა, შენობა-ნაგებობის პირველი სართულის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტაცია. აუქციონში გამარჯვებულ პირს ასევე დაეკისრა ვალდებულება, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) წლისა, უზრუნველყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სარეაბილიტაციო-აღდგენითი პროცედურების ჩატარება და შესაბამისი მომსახურების შენარჩუნება 3 წლის ვადით.

როგორც ქალბატონმა მარიამმა განმარტა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ როინ მკალავიშვილს დააკისრა 7108.55 ლარის ოდენობით პირგასამტეხლო, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების 321 დღით დარღვევის გამო, რამდენადაც შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 2019 წლის 23 აპრილს, ნაცვლად ხელშეკრულებით დადგენილი ვადისა, რომელიც ითვალისწინებდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის ვადაში, კერძოდ კი 2018 წლის 6 ივნისამდე.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, 2016 წლის 6 ივნისის ხელშეკრულებით გადაცემულ ქონებაზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე 2019 წლის 14 ივნისის მდგომარეობით, უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მისასვლელის, მოაჯირის, ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა და სარეაბილიტაციო-სატრენაჟორო მოწყობილობებით აღჭურვა.

მომხსენებლის თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ როინ მკალავიშვილი არის მოხუცი და მისი მეუღლე წარმოადგენს პირველი ჯგუფის ინვალიდს, ამასთან, მის მიერ შესრულებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ძირითადი ვალდებულება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 6 ივნისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, 2018 წლის 6 ივნისიდან - 2019 წლის 23 აპრილამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როინი მკალავიშვილის გათავისუფლების საკითხის საკრებულოსთვის წარმოდგენა.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ნაცვლად, მიეთითოს ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-8 პუნქტი. ამასთან, სასურველია განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის N20.108.114 განკარგულება.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური და პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შესაბამის რედაქციით.

ბატონმა ლევანმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართვა და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა - მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

„პლატფორმას – „შენი იდეა ქალაქის მერს" კიდევ ერთი გამარჯვებული ჰყავს, რომელიც მულტიფუნქციური საწვრთნელ-გასართობი და სპორტული კომპლექსის მოწყობას ითვალისწინებს" – განაცხადა ქალბატონმა მარიამმა. საკითხის წარმომდგენის თქმით, პროექტის იდეა გამომდინარეობს საქართველოს გზებსა და ქუჩებში შექმნილი ვითარებიდან, რაც უკავშირდება უკანონო რბოლებსა და გახშირებულ ავარიებს.

ქალბატონი მარიამის განმარტებით, სამგორის რაიონში, შესაბამისი მიწის ნაკვეთის გადაცემის შემთხვევაში, „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია" გეგმავს, მულტიფუნქციური საწვრთნელ-გასართობი და სპორტული კომპლექსის მოწყობას, სადაც მოხდება ავტომობილების მართვის პედაგოგ-ინსტრუქტორთა მომზადება-გადამზადება, მოეწყობა სარბოლო მონაკვეთები. კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის საგზაო მოძრაობის საწყისი ცოდნის და უნარ-ჩვევების შეძენა. გარდა ამისა, კომპლექსში გათვალისწინებული იქნება სპეციალური საწვრთნელი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

საკითხის წარმომდგენის თქმით, მიწის ნაკვეთის გადაცემის შემთხვევაში, ფედერაცია გამოთქვამს მზადყოფნას, ხუთი წლის ვადაში ეტაპობრივად განახორციელოს 1 419 500 ლარის ინვესტიცია.

მომხსენებლის თქმით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცემა,

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მულტიფუნქციური საწვრთნელ-გასართობი და სპორტული კომპლექსის მოსაწყობად, შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:

- პრივატიზებულ ტერიტორიაზე საწვრთნელი-გასართობი საავტომობილო სპორტული კომპლექსის მოწყობა/მშენებლობა და მისი ექსპლუატაციაში მიღება უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების დადებიდან ხუთი წლის ვადაში;

- საწვრთნელი-გასართობი საავტომობილო სპორტული კომპლექსის პროფილის შენარჩუნება მუდმივად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრი, გლდანის (ავჭალის) რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი - შალვა ოგბაიძე მიესალმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს და მადლობა გადაუხადა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს, იმისთვის, რომ მიეცა აზრის დაფიქსირების საშუალება.

ბატონმა ოგბაიძემ განმარტა, რომ იგი გახლავთ „საქართველოს საავტომობილო ფედერაციის" პრეზიდენტი, რომელიც მეგობრებთან ერთად 90 იან წლებში დააფუძნა. შალვა ოგბაიძემ ყოფილი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლასა და დაშინების ფაქტებზე ისაუბრა და მის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ დევნასა და რეპრესიებში წინა ხელისუფლების, კერძოდ სააკაშვილის პრეზიდენტობისას თანამდებობაზე მყოფი პირები დაადანაშაულა. საქმე ეხება ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან მის გადადგომას. ოგბაიძემ განმარტა, რომ პოსტის დატოვებას მასზე და მისი ოჯახის წევრებზე ზეწოლით აიძულებდნენ. ფედერაციის ყოფილი ხელმძღვანელის განცხადებით პოსტის დატოვებაზე უარის თქმის შემდეგ, მას ჩამოართვეს ქონება, წაართვეს ბიზნესი, შემდგომში კი დაიჭირეს. ხოლო ავტოდრომის ტერიტორია რუსეთიდან ჩამოსულ ბიზნესმენზე გაასხვისეს.

ბატონმა შალვამ განმარტა, რომ მასზე განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შემდგომ, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს ახალი ფედერაცია „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია". ბატონმა შალვამ აღნიშნული ფედერაციის დამფუძნებლების გვარები დაასახელა, რომლებმაც, შალვა ოგბაიძის თქმით გაძარცვეს და გაანადგურეს მისი და მისი მეგობრების მიერ დაფუძნებული ფედერაცია.

შალვა ოგბაიძემ განმარტა, 2012 წლის შემდგომ შეიცვალა ფედერაციის შემადგენლობა, მიმდინარეობს ფედერაციის განახლება და დღეის მდგომარეობით ფედერაცია არის ახალგაზრდა, ენერგიული ადამინების ხელში, რომლებიც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სახეები არიან. ოგბაიძემ ავტოდრომის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განმარტა, რომ სამგორის რაიონში 9 ჰექტარზე მოეწყობა საწვრთნელი-გასართობი კომპლექსი, სადაც განხორციელდება ახალგაზრდული პროექტები და ასევე ჩატარდება სასკოლო ჩემპიონატები. ბატონმა შალვამ, ახალგაზრდა ავტომობილისტების სახელით მადლობა გადაუხადა ქალაქის მერსა და საკრებულოს წევრებს გაწეული თანადგომისთვის.

შალვა ოგბაიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მთელი დღის განმავლობაში ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ მიმდინარეობს ცრუ ინფორმაციის გავრცელება, თითქოს აღნიშული მიწის ნაკვეთის გადაცემა ხდება მის მიერ დაფუძნებული „საქართველოს საავტომობილო ფედერაციისთვის“, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს და ემსახურება საზოგადოების სიცრუეში შეყვანას. მისივე თქმით, დღეის მდგომარეობით ორივე ფედერაცია არის „საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის წევრი“. „საქართველოს საავტომობილო ფედერაცია“ უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას, ხოლო „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია“, რომელსაც გადაეცემა დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი, გასცემს ლიცენზიებსა და ნებართვებს, სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებების მოწყობა ორგანიზებაზე.

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სპორტული პროექტების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს. მისივე თქმით, ავტოდრომის მოწყობა მნიშვნელოვანია, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც რუსთავის გარდა ავტოსპორტის მოყვარულებს სხვა საშუალება არ აქვთ და მინიმალური ხელშეწყობის პირობებში დებენ უმაღლეს შედეგებს. კომისიის თავმჯდომარე მიესალმა საავტომობილო ფედერაციისთვის თბილისში 9 ჰექტარი მიწის ნაკვეთის სიმბოლურ ფასად გადაცემას, შესაბამისი ავტოდრომის მოსაწყობად.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75 ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და $118^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ტექნიკურად გაიმართოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა - მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქ თბილისში, მახათას შესახვევი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.030.007.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მახათას შესახვევი N8-ში მდებარე უძრავი ქონების, მოქალაქე გელა ბარამაშვილისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ მოქალაქე გელა ბარამაშვილი გახლავთ საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორი და დაჯილდოვებულია სამკერდე ნიშნით „უმწიკვლო სამსახურისთვის". მისივე თქმით, გელა ბარამაშვილი ოჯახთან ერთად 2005 წლიდან დღემდე ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაში, რაც დასტურდება აღნიშნული მოქალაქის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებითა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილით.

როგორც ქალბატონმა მარიამმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გელა ბარამაშვილისთვის გადაცემის შესახებ. ასევე წარდგენილია კომუნალური გადასახადების ქვითრები, სადაც აბონენტად ფიქსირდება გელა ბარამაშვილი.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, გელა ბარამაშვილისა და მის ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. მისივე თქმით, პროექტის პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და მთავრობის განკარგულება მიეთითოს სწორი ფორმით. ასევე, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართული სახით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა - მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.044.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N5-ში მდებარე, 73.26

კვ.მ უძრავი ქონების, მოქალაქეებისთვის ლია გვარამე და ნატალია პართენაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წერილით, მთაწმინდის რაიონის გამგეობის მთაწმინდა-სოლოლაკის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტებისა და დაინტერესებულ პირთა მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით, დასტურდება, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები ნამდვილად ცხოვრობენ ხანგრძლივად აღნიშნულ მისამართზე.

დასასრულს, ქალბატონმა მარიამმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის მე 2 მუხლის ტექნიკურად გამართული სახით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა - მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ანტონ ფურცელაძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.04.019.004.01.591) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ანტონ ფურცელაძის ქუჩაზე მდებარე, 51.38 კვ. მ. ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, სოციალურად დაუცველი მოქალაქისთვის, ნანული ნარიმანიძისთვის საკუთრებაში გადაცემას.

საკითხის წარმომდგენის თქმით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი, მთაწმინდის რაიონის გამგეობის თანამშრომლის მიერ შედგენილი გამოკითხვის ოქმებისა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი გასაუბრების ოქმების მიხედვით, ნანული ნარიმანიძე ოჯახთან ერთად 2008 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

მარიამ კვერნაძემ იქვე დასძინა, რომ სააგენტოში წარდგენილი სასამართლოს გადაწყვეტილებები ადასტურებს, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის ოჯახის წევრს, ვახტანგ წულაიას როგორც ქალაქ თბილისში, 1991-1992 წლების დეკემბერი-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირს, გააჩნია მოთხოვნის უფლება სოლიდარულად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

დასასრულს, ქალბატონმა მარიამმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

თავმჯდომარის აზრით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს № 20.140.159 განკარგულების სათაური, მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

ბატონმა ლევანმა მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართული სახით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა - მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, II მიკრო/რაიონის კორპუსი N9 (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.005.01.514) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში მდებარე 153,55 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების მოქალაქე ნინო ჭანკოტაძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან წარდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის

წერილობითი შუამდგომლობა, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად დაინტერესებული პირისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, მოქალაქე ნინო ჭანკოტაძე 7 წელია ფლობს და ოჯახთან ერთად სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებით, ამასთან, მისი ოჯახის წევრი ნიკოლოზ ხატიაშვილი არის შრომისუუნარო პიროვნება, რომელიც საჭიროებს გარეშე პირის მუდმივ მოვლას. მისივე თქმით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის წერილი და ნოტარიულად დამოწმებული მეზობლების დასტური, რომლის მიხედვით, ნინო ჭანკოტაძე დაახლოებით 7 წელია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. ასევე, წარმოდგენილია კომუნალური გადახდის ქვითრები, სადაც აბონენტად ნინო ჭანკოტაძეა დაფიქსირებული.

დასასრულს, ქალბატონმა მარიამმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ნინო ჭანკოტაძის და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

ბატონმა ლევანმა მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართული სახით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს აცნობა, რომ საკრებულოს წევრი ქეთევან მამულაშვილი ტოვებს სარევიზიო კომისიას და გადაინაცვლებს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის შემადგენლობაში. ასევე ხდება შესაბამისი ცვლილებების განხორციელება თემურ გორგაძის ნაწილში, რომლის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობის სახით მიღებაც ხდება.

თავმჯდომარის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით, კომისიამ მოამზადა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების

შესახებ“ განკარგულების პროექტი შესაბამისი დანართებით, რაც თან დაერთვება კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას.

დასრულს, ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აგვისტოს №234 განკარგულება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნაზე დანართის სახით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ უნდა იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

31. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს აცნობა, რომ თავისი მოთხოვნის საფუძველზე, მ/წლის 17 თებერვალს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოაწოდა საკრებულოს წევრის - თემურ გორგაძის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 ნოემბრის განჩინების დამოწმებული ასლი.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, ზემოაღნიშნული განჩინების მიხედვით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის განაჩენზე მსჯავრდებულ თემურ გორგაძის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და 2019 წლის 4 ნოემბრის განჩინებით დაადგინა, რომ აღნიშნული საკასაციო საჩივარი არ იქნეს დაშვებული განსახილველად.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა, ხოლო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის, მიხედვით თუ საკრებულოს წევრის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია გამოითხოვს განაჩენს, ამზადებს დასკვნას და წარუდგენს საკრებულოს უახლოეს სხდომას. აღნიშნული ფაქტების შესახებ ინფორმაციას საკრებულო ცნობად იღებს და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა მიიჩნიეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე ცნობის სახით უნდა მიიღოს და საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით გააფორმოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - თემურ გორგაძის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე საკითხი, როგორც აღნიშნული პირის მიმართ საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის იმპერატიულად თანმდევი შედეგი.

მოისმინეს:

32. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის იურისტმა - **სოფო უგრეხელიძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა** განმარტა, რომ „კულტურის შესახებ" საქართველოს კანონში, 2019 წლის 26 ნოემბერს ასახული ცვლილებების შედეგად, **ჩამოყალიბდა არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის დეფინიცია ახალი რედაქციით,** ამასთან, მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს დაევალათ, მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, საქართველოს კანონის ამოქმედებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

**სოფო უგრეხელიძემ** განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესი-ს ამჟამად მოქმედ რედაქციაში, პრაქტიკიდან გამომდინარე ასახულია შესაბამისი ცვლილებები და აღნიშნული წესი ჩამოყალიბებულია განახლებული და სრულყოფილი რედაქციით.

**საკითხის წარმომდგენმა** ისაუბრა პროექტით წარმოდგენილ ძირითად ცვლილებებზე, რომლის მიხედვით, განსაზღვრულია, არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების ინიცირების წესი, დადგენილია განთავსების საკითხის მიზანშეწონილობის კრიტერიუმები და დაზუსტებულია წესის მოქმედების არეალი. ამასთან, ახალ წესში დამატებულია „ტერმინთა განმარტება" და განსაზღვრულია განცხადების ფორმის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი.

დასასრულს **ქალბატონმა სოფომ** აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან, ხოლო პროექტის მიღება გამოიწვევს, საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-42 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიზანშეწონილია, რომ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ". ქვეპუნქტი განისაზღვროს ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ე" პუნქტის სახით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნტიდან

ამოღებულ იქნას „ვ“ ქვეპუნქტზე მითითება, ხოლო, აღნიშნული პუნქტი წარმოდგენილ იქნას ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის სახით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქორქოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია